პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 12 (13694) | შაბათი, 14 იანვარი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება გადის 1967 წლის 17 მარტს, ხოლო საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების მეათე მოწვევის საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების უფლებამოსილება — 1967 წლის 21 მარტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები კვირას, 1967 წლის 19 მარტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაბაძე

თბილისი, 1967 წლის 13 იანვარი.

პარტიული აქტივის კრებებზე

გორკის ოლქის კომუნისტთა ერთსულოვნება

გორკი, 12 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს საავტომობილო ქარხნის კულტურის სასახლეში გაიმართა გორკის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება.

კრება გახსნა სკკპ საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. ფ. კატუშევმა.

მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1966 წ.) პლენუმის შედეგების შესახებ“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

აქტივის კრების დამთავრების შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა გორკის ოლქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. საუბარში შეეხნენ ახალ ხუთწლედში ოლქის სახალხო მეურნეობის განვითარების, სახელმწიფო გეგმების, აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის აღსანიშნავად მშრომელთა მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების საკითხებს. ლ. ი. ბრეჟნევმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მასებში პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების, პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლების დიდ მნიშვნელობას.

ერთსულოვანი მოწონება

ხაბაროვსკი, 13 იანვარი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა ხაბაროვსკის სამხრეთ და საქალაქო პარტიული ორგანიზაციების აქტივის კრება. კრება გახსნა პარტიის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. პ. შიტიკოვმა.

კრებაზე მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1966 წ.) პლენუმის შედეგების შესახებ“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ: სკკპ ამურის კომსომოლსკის საქალაქო კომიტეტის მდივანი ს. ი. ბალაბანოვი, სკკპ ხაბაროვსკის ცენტრალური რაიკომის მდივანი ლ. ი. რომანოვა, სკკპ ლენინის რაიკომის მდივანი ვ. ა. უსტინოვი, ხაბაროვსკის სათბობი მოწყობილობის ქარხნის მუშა ი. პ. კადოჩნიკოვი, შორეული აღმოსავლეთის სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი გენერალ-მაიორი ლ. ი. სენკოვი, ხაბაროვსკის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ნ. ვ. სვერდლოვი, შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ი. გ. პავლოვსკი და სკკპ ხაბაროვსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ა. პ. შიტკოვი.

კრების მონაწილეებმა რეზოლუციაში ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ჩვენი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ლენინური კურსი და მზარის ყველა მშრომელთა სახელით პირობა დადეს, რომ შორეული აღმოსავლეთის მშრომელები კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო და ახალი შრომითი მოღვაწეობით შეხვდებიან დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს.

შეხვედრები გორკში

გორკი, 13 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც ქალაქში იმყოფება. დღეს ეწვია ერთ-ერთ მოწინავე საწარმოს — მანქანათსამშენებლო ქარხანას. გაიმართა გულთბილი საუბრები მუშებთან და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებთან. ლ. ი. ბრეჟნევი გაეცნო ტექნოლოგიურ პროცესებსა და ახალ ტექნიკას, რომლითაც აღჭურვილია ქარხნის საამქროები, შეხვდა და ესაუბრა საწარმოს ხელმძღვანელ შემადგენლობას.

ლ. ი. ბრეჟნევი იყო ქარხნის მუშაკთა ქოლექტივთან, რომლებიც დაიღუბნენ დიდი სამამულო ომის დროს.

ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად ქარხანაში იყვნენ სკკპ გორკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი კ. ფ. კატუშევი, საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ი. ი. ჩუბუნოვი და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

ლენინის ორდენი გორკის ოლქის დროშაზე

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

გორკი, 13 იანვარი, (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ სპორტის სასახლეში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა გორკის ოლქისათვის ლენინის ორდენის გადაცემას. ეს მაღალი ჯილდო ოლქს მიენიჭა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის. კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ლ. ი. ბრეჟნევს, რომელმაც ორდენი გადასცა.

ლ. ი. ბრეჟნევმა კრებაზე სიტყვა წარმოთქვა.

ძვირფასო ამხანაგო გორკელებო! ძვირფასო მეგობრებო!, ამბობს ლ. ი. ბრეჟნევი, დღეს თქვენ დიდი ზეიმი გაქვთ. გორკის ოლქს გადაეცემა ლენინის ორდენი. ეს ჯილდო გამოხატავს გორკელთა შრომითი მამაცობის მაღალ შეფასებას, სამშობლოს მადლობას იმ ფასდაუდებელი წვლილისათვის, რომელიც თქვენ შეგაქვთ კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით მხურვალედ მოგილოცავთ მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას — გორკის ოლქის ყველა მშრომელს დამსახურებულ ჯილდოს, სულით და გულით გისურვებთ შემოქმედებითს წარმატებებსა და ახალ შრომითს გამარჯვებებს!

ჩვენ, განაგრძო ამხანაგმა ბრეჟნევმა, შევიკრიბეთ ღირსშესანიშნავ დღეებში, როდესაც ჩვენი სახელმწიფოსათვის დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების ახალი საიუბილეო წელი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის წელი. ეს ის ისტორიული მიჯნაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს დიდი სიმაღლიდან გადავხედოთ ჩვენი ქვეყნის მიერ განვლილ გზას, მსოფლიო განვითარების მთელ მსვლელობას. ამ ჭეშმარიტად გმირული 50 წლის მანძილზე ჩვენმა ხალხმა ააშენა სოციალიზმი და ახლა აგებს კომუნიზმის შენობას. სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ იმითაც, რომ ჩვენმა ლენინურმა პარტიამ, ჩვენმა მუშათა კლასმა, მთელმა ჩვენმა მშრომელმა ხალხმა 1917 წლის ოქტომბერში დაიწყეს მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა და ახლა მეთაურობენ კაცობრიობის სოციალურ პროგრესს.

იმ ჭეშმარიტად გრანდიოზულ მიღწევებში, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ ნახევარი საუკუნის მანძილზე მოიპოვა, გორკელთა შრომის საკმაოდ დიდი წვლილიც არის.

შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი დაწვრილებით შეეხო გორკელთა როლს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში, დაასახელა მათი გამოჩენილი ადამიანები — იაკობ მიხეილის-ძე სვერდლოვი, პეტრე ზალომოვი, ვალერი ჩკალოვი, ალექსანდრე ბუსიგინი და სხვები.

ლ. ი. ბრეჟნევმა დაწვრილებით ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი წვლილი შეიტანეს გორკის ოლქის მშრომელებმა მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლაში ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის წლებში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სრულიად იცვალა სახე ვოლგისა და ოკის თვალწარმტაც ნაპირებზე მდებარე უძველესმა რუსულმა ქალაქმა, მშრომელმა ქალაქმა, მებრძოლმა ქალაქმა. განაგრძო ლ. ი. ბრეჟნევმა. შეიძლება ითქვას, რომ ნიჟნი ნოვგოროდის მხოლოდ მშვენიერი კრემლი დგას ურყევად, ისევე როგორც იდგა მრავალი საუკუნის მანძილზე. მაგრამ დღეს მას გარს აკრავს განუმეორებელი იერის ქალაქი, რომლის მოსახლეობა ძალიან აღემატება, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო და კულტურული ცენტრი. კიდევ უფრო გარდაიქმნა ბალახნა, პავლოვო, ძერჟინსკი და წარსულში მიყრუებული სხვა დაბები, რომლებიც ახლა დიდი იდუსტრიული ქალაქები გახდნენ. როცა ყველა ამ მნიშვნელოვან ცვლილებას აღნიშნავთ, უნებურად ფიქრობთ იმაზე, თუ რა დარჩა უცვლელი, — ეს არის გორკელთა რევოლუციური სულისკვეთება, მაღალი ტრადიციები, რაც ცოცხლობს ადამიანთა გულსა და გონებაში, მათს ყოველდღიურ საქმიანობაში.

ლ. ი. ბრეჟნევმა მეტად გულთბილად ილაპარაკა გორკის ოლქის მშრომელებზე, მათს შრომითს წარმატებებზე.

მუშა კაცი საბჭოთა სახელმწიფოს დასაყრდენია, ხაზი ვაუსვა შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევმა. ჩვენი პარტია ყოველთვის დიდად აფასებდა მუშის დიად და სამაყო წოდებას. ჩვენ კვლავაც სულ უფრო და უფრო უნდა ავამაღლოთ მშრომელი კაცის ავტორიტეტი და დირსება, დავამკვიდროთ ყოველი მუშური პროფესიისადმი სიყვარული და პატივისცემა.

გასულ წელს გორკის ოლქმა სამრეწველო პროდუქციის ზრდის უფრო მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა, ვიდრე მიღწეულია საშუალოდ მთელ ჩვენს ქვეყანაში. მრეწველობამ ვადამდე შეასრულა სახელმწიფო გეგმა. ოლქის ქარხნებისა და ფაბრიკების მშრომელებმა ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვანი რაოდენობით მისცეს ზეგეგმითი პროდუქცია.

გორკელ ავტომშენებელთა, სორმოველ გემთმშენებელთა, ძერჟინსკელ ქიმიკოსთა, ბალახნელ მექანიკოსთა მხარდამხარ მუშაობენ გორკის ოლქის მინდვრების მშრომელები. აქ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის ძნელი პირობებია. ამიტომ დიდი კმაყოფილებით შეიძლება აღვნიშნოთ ის წვლილი, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებაში შეაქვთ გორკის ოლქის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მექანიზატორებს. მათ შეასრულეს მარცვლეული კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის სახელმწიფო გეგმები.

ოლქის მიღწევები საოლქო და საქალაქო პარტიული ორგანიზაციების, ყველა კომუნისტის დიდი შემოქმედებითი მუშაობის შედეგია. გორკის პარტიული ორგანიზაცია ყოველთვის იყო და არის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საიმედო დასაყრდენი.

საბჭოთა ადამიანებს, განაგრძო ლ. ი. ბრეჟნევმა, ყველა საფუძველი ჰქონდათ სიამაყით გაეცალებინათ ახალი ხუთწლედის პირველი წელი თავიანთი შრომი-

(დასასრული მე-2 გვ).

გილოცავთ მაღალ ჯილდოს!

სახალხო მეურნეობის დაგეგმვის, დაფინანსების, აღრიცხვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში წარმატებით მუშაობისა და შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შესასრულებლად რესურსების მობილიზაციისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 31 დეკემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა საგეგმო, საფინანსო, სანბანკო, სტატისტიკური ორგანოებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მუშაკთა დიდი ჯგუფი.

მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკაში:

ლენინის ორდენით

სანბატარაშვილი ალექსანდრე გიორგის-ძე — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ჩხეიძე შოთა ნიკოლოზის-ძე — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის რუსთავის განყოფილების მმართველი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

გუგბერიძე სამსონ არჩილის-ძე — ბორჯომის რაიონული საფინანსო განყოფილების გამგე.

კაფაფოვი მიხეილ ანდრონიკეს-ძე — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის აჭარის რესპუბლიკური კანტორის განყოფილების უფროსი.

ლომდარიძე ზაქარია ლევანის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს სატყექალაღმარაგებისა ლ თბილისის ბაზის ამწის მებაგირე.

უხურგუნაშვილი ივანე სიკოს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს საქლიტონმარაგგასაღების თბილისის ბაზის მუშათა ბრიგადირი.

ქარუმიძე შოთა დავითის-ძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

ჩიქობავა მირიან კონსტანტინეს-ძე — სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

გოგია შალვა ალექსის-ძე — თბილისის საქალაქო საფინანსო განყოფილების უფროსი.

დანამიანი არუთინ აკოფის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს ლითონმარაგგასაღების უფროსის მოადგილე.

ეძგვერაძე დომენტი გიორგის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს საქტყექალაღმარაგგასაღების უფროსის მოადგილე.

თურქია ისიდორე დავითის-ძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

კაკაურიძე ნიკოლოზ ევგენის-ძე — სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის თბილისის საქალაქო სამმართველოს უფროსი ინსპექტორი.

კომახიძე ეთერ დავითის ასული — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილე.

მამულაიშვილი რუბენ ისმალარის-ძე — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის უფროსი რეგიონალური.

პაიჭაძე ალისტრახ კირილეს-ძე — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ტყიბულის განყოფილების მმართველი.

ფვანია დავთ სიმონის-ძე — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მანქანა-საანგარიშო სადგურის უფროსის მოადგილე.

ტყეებუჩავა შალვა ირაკლის-ძე — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სამტრედიის განყოფილების მმართველი.

ხუსკოვაძე აკაკი სევასტის-ძე — ზესტაფონის რაიონული საფინანსო განყოფილების გამგე.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

ბერიშვილი ზურაბ ვლადიმერის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსი.

გაგნიძე გიორგი გიორგის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსი.

გობეჩია გიორგი ვიქტორის-ძე — აფხაზეთის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს მანქანა-საანგარიშო სადგურის უფროსი.

დემურიშვილი ნინო ივანეს ასული — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს განყოფილების უფროსი.

ყურულაია აუშა კონსტანტინეს ასული — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის თერჯოლის განყოფილების მმართველი.

კუპუნიძე გალაქტიონ სიმონის-ძე — სსრ კავშირის მშენებლის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის განყოფილების უფროსი.

ლომიძე მარგალიტა გიორგის ასული — ცენტრალური შემნახველი სალაროს მთავარი ბუხჰალტერი, ქ. თბილისის ლენინის რაიონი.

მინდიაშვილი ნადეჟდა ალექსანდრეს ასული — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის უფროსი ეკონომისტი.

ქამუშაძე სერგი ფარნაოზის-ძე — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სამმართველოს უფროსი.

ჩიხლაძე ევგენია ალექსანდრეს ასული — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილე.

ჯავახაძე ალექსანდრე ტარასის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს საქლიტონმარაგგასაღების ქუთაისის საწყობის მმართველი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

ბილისაშვილი ვარლამ სიმონის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს შენმარაგგასაღების უფროსი ინჟინერი.

ბუაძე პანა დომენტის ასული — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ამბროლაურის განყოფილების სალაროს გამგე.

გეგეჭკორი მირიან ივანეს-ძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს განყოფილების უფროსი.

გრიგოლია პანტელეიმონ სერგის-ძე — სამტრედიის რაიონული საფინანსო განყოფილების ინსპექციის უფროსი.

კაპაძიძე ალექსანდრე სბას-ძე — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის უფროსი ინკასატორი.

კირაკოზოვა რუზანა ოპანეზის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსი.

კუდუხოვი ილია ივანეს-ძე — საოლქო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ჭინჭარაძე ვახტანგ ალექსის-ძე — ზესტაფონის რაიონის სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტორი.

დიად თარიღს ღირსეული შეხვედრა

პირველ ადგილზე

ქუთაისი. (საკ. კორ.). სალოკომოტივო დეპოს კოლექტივი სასახელო მაჩვენებლებით შეხვდა ახალ წელს. დეპოელები გასული წლის ოქტომბრისა და ნოემბრის შედეგებით ზედიზედ პირველ ადგილზე გამოვიდნენ ამიერკავკასიის რკინიგზაზე. კიდევ უფრო უმატეს მუშაობის ტემპს დეკემბერში და წლის დავალება ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით გადაჭარბებით შეასრულეს.

ქუთაისელმა რკინიგზელებმა ხუთწლედის პირველ წელს 2.146 მძიმეწონიანი მატარებელი გადაიყვანეს და გეგმის გადამეტებით გადაზიდეს 298 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთები. ამასთან „ავადმყოფი“ ლოკომოტივების რიცხვი ნორმასთან შედარებით 0,5 პროცენტით შემცირეს, ტექნიკური სიჩქარე 0,9 კილომეტრით გაზარდეს, ტვირთზიდვის გეგმა 106 პროცენტით შეასრულეს და 50 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს.

ახალი წლის პირველ დღეებში ელმავლის მემანქანეებმა ოთ. მელაძემ, მ. ბანძელაძემ, ა. სანიკიძემ, მ. გვეტაძემ, გ. ქასრაშვილმა და სხვებმა ათობით მძიმეწონიანი შემადგენლობა გადაიყვანეს და ათასობით ტონა ზეგეგმითი ტვირთი გადაზიდეს.

მოგეგით მუშაობენ

წითელწყაროს. (საკ. კორ.). კირი, ოლიფა, აგური, გაჯი, ქვიშრი, კასრი — ეი ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის პროდუქცია. შარშან საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა აქ 107,7 პროცენტით შესრულდა. დავალების გადამეტებით ათასი ტონა კირი, 120 ტონა გაჯი, 700 ცალი კასრი და სხვა სახის პროდუქცია გამოუშვეს. კომბინატმა ვეგმის გადაჭარბებით სამშობლოს ოცი ათასი მანეთი მოგება მისცა.

ამ წარმატებაში კომბინატის მუშაკებმა დ. ლეკაშვილმა, ზ. ბაღაშვილმა, ლ. მენთეშაშვილმა, გ. ლეკიაშვილმა, გ. ყუჩიაშვილმა და სხვებმა დიდი წვლილი შეიტანეს. წითელწყაროელებმა იკისრეს ხუთწლედის მეორე წლის დავალების გადამეტებით 50 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვან.



დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის შესახვედრად ფართოდ გაიმართა სოციალისტური შეჯიბრება თბილისის ქარხნის საამწყობო საამქროში. შეჯიბრებაში დაწინაურდა ამწყობი შეინკალი რ. ანჯაფარიძე, რომელიც ხუთწლედის მეორე წლის პირველი დღიდან ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 110-115 პროცენტით ასრულებს. სურათზე: ამწყობი შეინკალი რ. ანჯაფარიძე მუშაობის დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ხელშეკრულების 21-ე წლისთავი

საბჭოთა საზოგადოებრიობამ დღეს აღნიშნა სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების 21-ე წლისთავი.

სალამოზე, რომელიც მეგობრობის სახლში გაიმართა, იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე გ. ს. ძოწენიძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი. სტუმრებს შორის იყვნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ნ. ლუვსანჩიულტემი, საელჩოს თანამშრომლები, მონღოლი სტუდენტები, რომლებიც მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბ. ხ. რუანოვმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ახალმა ხელშეკრულებამ, რომელიც გასული წლის 15 იანვარს დაიდო 1946 წლის ხელშეკრულების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, განსაზღვრა მომავალ ოცწლეულში სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა თანამშრომლობის კონკრეტული ამოცანები და მიზნები. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარების მდიდარ გამოცდილებას, აგრეთვე იმ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა აზიასა და მთელ მსოფლიოში.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ვ. ლუვსანჩიულტემმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ, ღრმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებამ ღირსეული წვლილი შეიტანა ჩვენი ხალხების მეგობრობის განმტკიცებაში. ჩვენს ქვეყნებში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში.

მონღოლი ხალხის სახელით ელჩმა გადაჭრით დაგმო ამერიკელ იმპერიალისტთა ბარბაროსული აგრესია სამხრეთ ვიეტნამში და მათი დანაშაულებრივი საჰაერო თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ხო ში მინის გაპოსვლა

ჰანოი, 13 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ე. კობელევი იუწყება:

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებთან ტო ხიუსა და ხონგ ანსთან ერთად იყო ჩრდილოეთ ვიეტნამის მებრინჯაობის რაიონში — თხაიბინის პროვინციაში, რომელმაც პირველმა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საშუალოდ ჰექტარზე 50 ცენტნერზე მეტი ბრინჯი მოიწია.

გაზეთი „ნიან ზანი“ დღეს აქვეყნებს ხო ში მინის სტატიას, რომელიც წარმოთქვა პროვინციის კადრის მუშაკებისა და მოწინავე კოოპერატივების წარმომადგენლების წინაშე. „ამჟამად ჩვენი პარტიისა და ხალხის წინაშე დასახულია დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — უნარიანად მოაწყოს წარმოება, უნარიანად იბრძოლოს, რათა გაანადგუროს ამერიკელი აგრესორები, — თქვა ხო ში მინმა. წარმოება და ბრძოლა ორი ფრონტია, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ფრონტებზე მებრძოლი არმიების ზურგის მომარაგების რაზმია. კოოპერატივების წევრები წარმოებას იმნაირად უნდა გაუძღვნენ, რომ ჩვენი არმია და ხალხი უზრუნველყონ სურსათით, რათა მტერი დაამარცხონ“.

ხო ში მინმა თხაიბინის პროვინციის კლეხებს მოუწოდა არ დასჯერდნენ მიღწეულ წარმატებებს, განამტკიცონ თითოეული სოფლის, თითოეული კოოპერატივის საჰაერო დაცვა.

მდგომარეობა ხოგოში

პარიზი, 13 იანვარი. (საკდესი). წუხელ ტოგოს რესპუბლიკაში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. ამას იუწყება კოტონუდან (დაგომეა) ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი. ტოგოს არმიის შტაბის უფროსმა პოდპოლკოვნიკმა ეიდემამ ლომეს რადიოთი გამოაცხადა, რომ ტოგოს რესპუბლიკაში ძალაუფლება არმიის ხელში გადავიდა. ეიდემამ გამოაცხადა აგრეთვე, რომ დაითხოვეს ტოგოს მთავრობა და პარლამენტი და რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო წესები.

ლომეს, 13 იანვარი. (საკდესი). ლომეს რადიოთი გამოსვლისას პოდპოლკოვნიკმა ეიდემამ, რომელმაც გამოაცხადა, რომ ძალაუფლება ტოგოში არმიის ხელში გადადის, თქვა, რომ ტოგოს რესპუბლიკა კვლავინდებურად დაიცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. აგრეთვე ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას მთელი მსოფლიოს ქვეყნებთან, რომლებსაც წინათ მოაწერეს ხელი.

კარიკატურისტის თვალით



ჩანს, ეს ბინაც ვიწრო იქნება ჩემთვის.

მე კიდევ ვისარგებლებ კრედიტით. (გულისხმება „დიდი კოალიცია“ გფრ).

ნახატი ტ. პინდარეევისა გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოდან“ (ბულგარეთი).

კიზინგერი და ბრანდტი პარიზში ჩავიდნენ

პარიზი, 13 იანვარი. (საკდესი). დღეს ბონიდან პარიზში სპეციალური თვითმფრინავით ჩამოვიდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი კურტ კიზინგერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ვილი ბრანდტი. მათი ვიზიტის პროგრამაში, რომელიც ხვალ საღამოს დამთავრდება, არის შეხვედრები პრეზიდენტ დე გოლთან, პრემიერ-მინისტრ პომპიდუსთან და საგარეო საქმეთა მინისტრ კუვ დე მიურვილთან.

დასავლეთგერმანელ ხელმძღვანელთა მოგზაურობა პარიზში — მათი პირველი სახელმწიფო ვიზიტია სამშობლოს ფარგლებს გარეთ მას შემდეგ, რაც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ახალი მთავრობა შეიქმნა.

ეკონომიკური საკითხები

ლენინის ორდენი გორკის ოლქის დროშაზე

(დასასრული)

თი გამარჯვებების გამო. არსებული მონაცემებით, 1966 წელს სამრეწველო წარმოების ზრდამ 8.6 პროცენტი შეადგინა. ეს დიდი წარმატებაა. გეგმით ხომ 6,7 პროცენტი იყო გათვალისწინებული. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, აქ ჩვენი საქმეები უეჭველად გაუმჯობესდა. გასულ წელს, როგორც მოგეხსენებათ, ძირითადი კულტურების უხვი მოსავალი მოვიყვანეთ, კარგ მედეგებს მივაღწიეთ მეცხოველეობაშიც. მთლიანად პროდუქციის წარმოება სოფლის მეურნეობაში ერთი წლის მანძილზე დაახლოებით 10 პროცენტით გაიზარდა. ეს საშუალებას გვაძლევს უზრუნველვყოთ მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგება ყველა სახის სურსათით და დავაკმაყოფილოთ ჩვენი მრეწველობის მოთხოვნილებანი.

გასულ წელს ზოგიერთი დადებითი ძვრა მოხდა ეკონომიური განვითარების **ტემპების** მხრივაც. ეროვნული შემოსავალი გასულ წელს თითქმის 7,5 პროცენტით გაიზარდა ნაცვლად 1965 წლის 6 პროცენტისა.

ყველა საფუძველი გვაქვს გვიზაროდეს გასული წლის შედეგები. მაგრამ ახლა კიდევ უფრო საჭიროა განვამტკიცოთ და ვამრავლოთ მიღწეული წარმატებანი. მით უმეტეს, რომ 1967 წელი ჩვეულებრივი კი არ არის, არამედ საიუბილეო წელია. ასე რომ ყველამ კარგად უნდა ვიშრომოთ, რათა ღირსეულად შევხვდეთ ოქტომბრის ამ სახელოვან დიად წლისთავს.

1967 წელს ჩვენი ეკონომიური განვითარების ერთ-ერთი მთავარი თავისებურება, ხაზი გაუსვა ლ. ი. ბრეჟნევმა, ის არის, რომ უფრო ფართო მასშტაბით გაგრძელდება გადასვლა მეურნეობის გაძღოლისა და ეკონომიკის მართვის ახალ სისტემაზე.

დიდი მუშაობა გაჩაღდება სოფლადაც. რასაც გასულ წელს მივაღწიეთ, ეს ხომ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია სოფლის მეურნეობის აღმავლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტის გზაზე. ბევრი უნდა ვიშრომოთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება ეფექტიანად გამოვიყენოთ ის დიდი კაპიტალური დაბანდებანი, რომლებიც ხუთწლეულის მანძილზე უნდა მოხმარდეს სოფლის მეურნეობას.

უკვე ახლა, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, მთელ ჩვენს ქვეყანაში ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად. ამ სახელოვანი იუბილეს ზეიმით აღნიშვნისათვის მზადებამ ხელი უნდა შეუწყოს ხალხის რევოლუციური და შრომითი ტრადიციების, სოციალისტური პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შემდგომ განვითარებას, მშრომელებისათვის მაღალი მორალური თვისებების, კომუნისტური იდეალების ერთგულების ჩანერგვას.

ვფიქრობ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დადგენილებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელმა დაინახა თავისი შრომითი ამოცანები ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია, ყველა მუშა და კოლმეურნე, სპეციალისტი და მოსამსახურე, გამოეხმაურება ცენტრალური კომიტეტის ამ მოწოდებას. ოქტომბრის ორმოცდამეათე წლისთავის აღნიშვნის საუკეთესო საშუალებაა შევხვდეთ დღესასწაულს ახალი დიდი მიღწევებით მეურნეობის განვითარებაში!

შემდეგ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ილაპარაკა საერთაშორისო ძდგომარეობის საკითხებზე.

საერთაშორისო ცხოვრების სიმრთელე, მსოფლიო ასპარეზზე მოელენთა სწრაფი განვითარება გვაიძულებს მუდმივი და შეუნელებელი ყურადღებით ვეკიდებოდეთ საგარეოპოლიტიკურ საკითხებს. ამას წინათ, როგორც იცით, ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის საერთაშორისო პოლიტიკისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის ჩვენი პარტიის ბრძოლის საკითხი.

პლენუმმა აღნიშნა, რომ კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციები. მან დაადასტურა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილება კვლავაც განახორციელონ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკა. ჩვენი პოლიტიკა იყო და იქნება სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ძლიერებისა და ერთიანობის განმტკიცების, ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის აქტიური მხარდაჭერის, იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ათვის ბრძოლაში მთელი რევოლუციური და პროგრესული ძალების შეკავშირების პოლიტიკა.

ჩვენს დროში მსოფლიო პოლიტიკის ყველაზე მწვავე პრობლემაა ვიეტნამის საკითხი. პრესისა და რადიოს ცნობებიდან, საბჭოთა მთავრობის განცხადებიდან თქვენ იცით, ამხანაგებო, თუ რა ახალ დანაშაულებს სჩადის ამერიკის იმპერიალიზმი ვიეტნამში. ამას წინათ ამერიკის თვითმფრინავები რამდენჯერმე დაესხნენ თავს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქს, დაბომბეს ჰანოის საცხოვრებელი უბნები. ძნელია გამოვნახოთ სიტყვები, რომ გამოვთქვათ მთელი გულისწყრომა აგრესიის ამ ახალი აქტის გამო.

ვაშინგტონელ პოლიტიკოსებს არ დაუშურებიათ მეცადინეობა, რომ დაერწმუნებინათ მსოფლიო საზოგადოებრიობა თავიანთ „მშვიდობისმოყვარეობაში“, იმაში, რომ თითქოს მზად არიან მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას. ახლა მათ კიდევ ერთხელ გვიჩვენეს თავიანთი ნამდვილი სახე. ვინღა დაუჯერებს მშვიდობისათვის მოწოდებებს, თუ ამ მოწოდებებს თან ახლავს პროვოკაციული მოქმედება, რომელიც ამწვავებს ვითარებას, ქმნის ახალ დაბრკოლებებს კონფლიქტის მოწესრიგების გზაზე.

ამერიკელებმა ვიეტნამში უამრავ ჯარსა და საბრძოლო ტექნიკას მოუყარეს თავი. შეერთებული შტატების, მათი სატელიტებისა და საიგონელ მარionეტთა ჯარებში, რომლებიც იქ არიან, ახლა მილიონ ას სამოცდაათი ათასზე მეტი კაცია, მაგრამ ამერიკელი გენერლებიც კი აღიარებენ, რომ საომედოს ვერაფერს ხედავენ მათ მიერ გაჩაღებულ ავანტიურაში. ამერიკელ იმპერიალისტთა მოქმედება ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ფურცელია, რომელიც აწუხებს ყველა პატიოსან ამერიკელს.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, განაცხადა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომ ვიეტნამელი ხალხი, რომლის მხარეზეა მთელი პროგრესული კაცობრიობა, ბოლამდე იბრძოლებს სამართლიან ბრძოლაში თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

თავის გადაწყვეტილებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სავსებით მოიწონა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხაზი ვიეტნამის საკითხში, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა კვლავაც გაეწიოს მხარდაჭერა და დახმარება გმირ ვიეტნამელ ხალხს მის ბრძოლაში ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ.

იმ ვითარებაში, როცა იმპერიალიზმი საშიშ პროვოკაციებს აწყობს მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების წინააღმდეგ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განმტკიცებას, მოძმე ქვეყნების შეკავშირებას და მათს ერთიან მოქმედებას საგარეოპოლიტიკურ ასპარეზზე.

ჩვენს საბჭოთა ქვეყანას საომედო მოკავშირეები და ერთგული მეგობრები ჰყავს! და ჩვენ ძალღონეს არ ვიშურებთ, რომ განვამტკიცოთ ჩვენი თანამშრომლობა სოციალიზმის მოძმე ქვეყნებთან, ჩვენი შეკავშირება საერთო მიზნებისათვის და საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მშვიდობის საქმისათვის, აგრესიისა და ომის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ სოციალისტური ქვეყნების ერთობლივი ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ვარშავისა და ბუქარესტის თათბირები. როგორც იცით, ამ თათბირებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ევროპის უშიშროების საკითხებს.

სოციალისტურმა სახელმწიფოებმა ბუქარესტის თათბირზე წამოაყენეს გაშლილი პროგრამა, რომ ევროპის პრობლემები გადაიჭრას დემოკრატიულ, მშვიდობისმოყვარულ საფუძველზე — დაწყებული არსებული საზღვრების ურყევობის აღიარებით და დამთავრებული ყველა სახელმწიფოს, დიდ და მცირე სახელმწიფოთა ნდობისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის ვითარების შექმნით ევროპაში. ეს პროგრამა ხელს უწყობს ევროპის ხალხთა აქტივიზაციას თავიანთი კონტინენტის მშვიდობიანი მომავლისათვის ბრძოლაში.

ევროპის პრობლემებისადმი ახლებური მიდგომის ნიშნები ახლა თითქმის მთელ ევროპაში ჩანს, ამბობს ლ. ი. ბრეჟნევი. ეს ახალი ტენდენციები განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოიხატა საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებით. ამ ქვეყანასთან ჩვენი თანამშრომლობა ბევრი მიმართულებით ვითარდება და სარგებლობა მოაქვს როგორც საფრანგეთისათვის, ისე საბჭოთა კავშირისათვის. ჩვენ ვაფასებთ ურთიერთობას, რომელიც საფრანგეთთან გვექმნება და ჩვენი მხრივ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ ამ ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავებისათვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს იტალიასთან ურთიერთობას, რომელიც უკანასკნელ ხანს ვითარდება კეთილნაყოფიერი მიმართულებით. ჩვენ აგრეთვე კმაყოფილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მყარდება კარგი ურთიერთობა ევროპის მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებთან.

მდგომარეობის განვითარება ევროპაში, და საერთოდ მსოფლიოში, ცხადია, ხელს არ უწყობს დასავლეთგერმანელი მილიტარისტებისა და რევანშისტების ზრახვებს. მათი პოლიტიკა ღრმა კრიზისს განიცდის, რაც ბონს მთავრობის ხელმძღვანელთა ამასწინანდელი შეცვლით გამოიხატა.

ახალმა მთავრობამ უკვე გამოაქვეყნა თავისი საქმიანობის პროგრამა. რა შეიძლება ითქვას ამ პროგრამაზე? უწინარეს ყოვლისა პროგრამაში ბევრი რამ მოწმობს იმას, რომ დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმის მიზანდასახულობანი, სამწუხაროდ, უცვლელი რჩება. ჩვენ კვლავ ვისმენთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეტენზიებს, რომ „მთელ გერმანიას“ წარმოადგენდეს. ეს ნიშნავს, რომ გრძელდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „არცნობის“ პოლიტიკა, ფაქტიურად კი მისწრაფებას შთანთქან სოციალისტური სახელმწიფო. ბონში კვლავ აცხადებენ პრეტენზიებს დასავლეთ ბერლინზე, თუმცა მას საერთო **არა აქვს** რა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა კვლავ ადგას საშიშ პოზიციას ევროპაში ომისშემდგომი საზღვრების მიმართ, კერძოდ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრის საკითხში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა არც ატომური იარაღის ხელში ჩაგდების პრეტენზიებზე ამბობს უარს.

მართალია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალი მთავრობა აცხადებს, რომ აპირებს ხელი შეუწყოს ევროპაში შექმნილი დაძაბულობის შენელებას. კანცლერმა კიზინგერმა, კერძოდ, თქვა, რომ მისი მთავრობა „ეცდება გააღრმავოს ურთიერთგაგება და ნდობა“ საბჭოთა კავშირთან, რათა „შექმნას მომავალი წარმატებითი შეხვედრებისა და მოლაპარაკებათა წინაპირობანი“. მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვებია. უნდა ითქვას, რომ ამ სიტყვებსაც უარყოფენ სხვა განცხადებანი, რომლებსაც შეიცავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალი მთავრობის პროგრამა.

რა თქმა უნდა, ყოველივე გონივრულს, სასარგებლოს ევროპის მშვიდობის საქმისათვის ჩვენ მხარს დავუჭერთ, **მათ** შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შესაბამის ღონისძიებებსაც ამ მიმართულებით, თუ ეს ღონისძიებანი განხორციელდა. მაგრამ ჩვენ ოდნავაც არ შევანელებთ ბრძოლას იმისთვის, რომ დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმს საბოლოოდ დავუხშოთ ატომური იარაღის ხელში ჩაგდების გზა, უამისოდ ძნელია ფიქრი ევროპის მშვიდობის პრობლემაზე.

ჩვენს მოკავშირეებთან, მთელ მძვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად მთელი ჩვენი სიძლიერით დავიცავთ ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილ საზღვრებს. და იმას, ვინც მოიხდომებს ამ საზღვრების დარღვევას, გამანადგურებელ ლახვარს ჩავცემთ.

საბჭოთა კავშირს მტკიცედ სწამს, რომ ახლა ევროპაში შექმნილი ვითარების ქმედითი ნორმალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა ის, რომ უთუოდ ცნონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა როგორც სუვერენული დამოუკიდებელი სახელმწიფო. ვერავინ ვერ შეარყევს ჩვენს მეგობრობას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ჩვენს მტკიცე კავშირს მასთან. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გერმანელი მშრომელებისა და საერთოდ ევროპის მშვიდობისმოყვარე ძალების დიდი მიღწევაა.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე ამბობდა: „ჩვენ გვაქვს საერთაშორისო კავშირი, რომელიც არსად არაა ჩაწერილი, არაა გაფორმებული, არაფერს არ წარმოადგენს „სახელმწიფო სამართლის“ თვალსაზრისით, სინამდვილეში კი, ხრწნად კაპიტალისტურ სამყაროში ყველაფერია“. (თხზ. ტ. 30, გვ. 543). ასე თქვა ლენინმა ჩვენი კავშირის შესახებ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასთან. საერთაშორისო მუშათა კლასი, ხალხები, რომლებიც განთავისუფლებისათვის იბრძვიან, ახლა მსოფლიო სოციალისტურ სისტემასთან მჭიდროდ შეკავშირებული გამოდიან. ეს შესანიშნავად ადასტურებს ლენინის სიტყვების სისწორეს. რევოლუციური ძალების საბრძოლო შეკავშირება იმის საუკეთესო საწინდარია, რომ მშრომელი კაცობრიობა დასძლევს იმპერიალიზმსა და რეაქციას და პროგრესისა და თავისუფლების ფართო გზაზე გამოვა.

წელს ჩვენთან ერთად მთელი მსოფლიოს კომუნისტები და პროგრესული ადამიანები აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს. მთ სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ეს თარიღი არა მარტო საბჭოთა ხალხის ეროვნული დღესასწაულია, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის, მთელი რევოლუციური ძალების, მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი დღესასწაულია.

თუ დღეს მსოფლიოში არის არა ერთი, არამედ 14 სოციალისტური ქვეყანა, რომელთა მოსახლეობა კაცობრიობის მესამედს აღემატება, ეს იმ საზოგადოებრივი განვითარების შედეგია, რომელსაც დასაბამი მისცა ოქტომბრის რევოლუციამ. თუ ყოფილ კოლონიურ იმპერიათა ადგილზე მსოფლიოში წარმოიშვა 70-ზე მეტი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ესეც საბოლოო ანგარიშით, მსოფლიო სოციალიზმის გაკვლენის შედეგია. თუ მუშათა კლასმა კაპიტალის ქვეყნებში შეძლო მოეპოვებინა მტკიცე პოზიციები, ხოლო კომუნისტური მოძრაობა თანამედროვეობის უდიდესი პოლიტიკური ძალა გახდა, ამ მიღწევასაც საფუძველი ჩაეყარა 1917 წლის ოქტომბრის დღეებში.

კომუნისტური მოძრაობის, საერთოდ მთელი რევოლუციური მოძრაობის წარმატებანი შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო, ჩინეთის კომპარტიის ახლანდელი ხელმძღვანელობა გამოიშველ, დეზორგანიზატორულ საქმიანობას რომ არ ეწეოდეს.

ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური [illegible] ჩვენი ქვეყნის ეკონომიური [illegible] თავდაცვითი ძლიერება, ხალხ[illegible] იდეიურ-პოლიტიკური ერთიანობა, საბჭოთა საზოგადოების მონოლიტურობა. ყოველივე ეს კი იქმნება ჩვენი მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის შრომით, გონებით, ნებით, პოლიტიკური აქტივობით.

პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის მძლავრი მხარდაჭერა — ესისეთი დასაყრდენია, რომლის მეოხებით ჩვენი საგარეო პოლიტიკა უძლეველი ხდება, გვეხმარება ღირსეულად დავაღწიოთ თავი ყოველ განსაცდელს, დავძლიოთ ყოველი მტრის ხრიკები.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წაკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ბორკის ოლქის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ, რომელიც მიენიჭა წარმატებებისათვის, რაც ოლქის მშრომელებმა მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ტაშის გრიალში ლ. ი. ბრეჟნევმა გორკის ოლქის დროშას მიაბნია ორდენი. დარბაზში ქუხს ოვაცია, გაისმის შეძახილები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პატივსაცემად.

გამოსვლის დასასრულს ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: ვსარგებლობ შემთხვევით, რათა ერთხელ კიდევ გულითადად მოგილოცოთ და გისურვოთ ახალი წარმატებანი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, კეთილდღეობა და დიდი პირადი ბედნიერება ვუსურვებ ყველა გორკელს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს, მშრომელ ხალხს, შემოქმედ ხალხს!

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ლენინის პარტიას, რომელსაც კომუნიზმის გზით მიჰყავს ჩვენი ქვეყანა!

(ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დამსწრეთ მოისმინეს დიდი ყურადღებით. მისი სიტყვის დროს არაერთგზის გაისმოდა ტაში).

* * *

გორკის ოლქის მშრომელთა წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, თუ რა სიხარულმა დაისადგურა ნიჟნი ნოვგოროდის მიწაზე. ლენინის ორდენი ქალაქისა და სოფლის თითოეული მშრომელის დამსახურებათა აღიარებაა. ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მაღალი ჯილდო გორკის ოლქის მშრომელებს შთააგონებს ახალ გმირობას დიადი საშშობლოს სადიდებლად, რომელიც წელს აღნიშნავს ისტორიულ წლისთავს — საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავს.

მჭუხარე ტაშის გრიალში საზეიმო კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

დარბაზში კვლავ ტაში გაისმა, როცა პრეზიდიუმის მაგიდასთან მივიდნენ სოციალისტური შრომის გმირები ა. ი. კოსიცინი, ვ. ი. სერგეევი და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ო. პ. მორცევა. მათ ლ. ი. ბრეჟნევს გადასცეს ხელოვნური ფერადი ქვებისაგან გაკეთებული ვ. ი. ლენინის პორტრეტი, რომელსაც ძერჟინსკელი ქიმიკოსები უშვებენ.

ლ. ი. ბრეჟნევმა გულითადი მადლობა უძღვნა გორკის ოლქის მშრომელებს საჩუქრისათვის.

შეკრებილებმა დიდი აღმავლობით იმღერეს პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

პარტიული მუშაობის ხელოვნება

პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა. 1966 წ.

ПАРТИЙНОЕ ДЕЛО

ЛЕНИНСКИЕ НОРМЫ

**ПАРТИЙНОЙ ЖИЗНИ

საერთაშორისო ცხოვრება

თანამშრომლობის გაფართოების ინტერესებისათვის

ბერლინი, 13 იანვარი. (საკდესი). ...ქმის ხელმოწერით დამთავრდა სსრ ...ეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ...მთავრობათაშორისო პარიტეტული კომისიის მეორე სესია, რომელიც 9-12 ...ებვრის მიმდინარეობდა ბერლინში.

...სესიის შედეგებმა კარგი საფუძველი ...უქმნეს ორი ქვეყნის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას. ცნობაში სესიის დამთავრების შესახებ აღინიშნული, რომ იმ საუბრების საფუძველზე, რომლებიც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებს ვ. ულბრიხტსა და ...ს ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს შორის, ...ერთვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. შტოფსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს შორის გაიმართა 1966 წლის დეკემბერსა და ნოემბერში, მეორე სესიამ მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ...ონისძიებანი სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ...ოდეს უფრო მჭიდრო, და ეფექტიანი ...ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური ...თანამშრომლობისათვის.

...დასახულია ორივე ქვეყანას შორის საქონელბრუნვის შემდგომი გადიდების, ...ირძოდ დიდმწარმოებლური მანქანების, ...ერთვეს ქიმიური და ნავთობის მრეწველობის მოწყობილობის ურთიერთ მიწოდების გაფართოების პრაქტიკული ღონისძიებანი უახლესი წლებისათვის.

სამთავრობათშორისო პარიტეტულმა ...ომისიამ აღნიშნა, რომ საჭიროა გაფართოდეს კომერციული ხელშეკრულებანი ...ებული გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმების საფუძველზე, და მიიღო გადაწყვეტილებანი ორივე ქვეყნის სამინისტროებსა და ეკონომიურ ორგანოებს შორის უშუალო ურთიერთობის განმტკიცების შესახებ.

თავდასხმები გრძელდება

ვიენა, 13 იანვარი. (საკდესი). ამერიკის თვითმფრინავებმა, რომლებსაც ...ბაზა აქვთ მე-7 ფლოტის ხომალდებზე, ...ეორეთვე სამხრეთ ვიეტნამსა და ტაილანდში, 11 იანვარს არაერთგზის დაარღვიეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცე და ...ბომბეს და ცეცხლი დაუშინეს ...ინელის რაიონის, ...ინის, ...ანის, ...ანის, თხანჰოისა და ...ანის პროვინციების მჭიდროდ დასახლებულ რაიონებსა და სამრეწველო ...ობიექტებს. იმავე დღეს ...ერიკის თვითმფრინავებმა ...ბომბეს ქალაქი ფუელი ...ეცხლი დაუშინეს ...ეზსაჭერ გემებს ვიეტ...ამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიულ ...ყლებში თქაიბინისა და ...ანგბინის პროვინციებში.

ლაბორატორიები მძვინვარებენ

ნიუ-იორკი, 13 იანვარი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის პატარა ქალაქ ბენ-...ეკი (3.800 მცხოვრები), რომელიც საგონის მახლობლად მდებარეობს, აღიარა მიწისგან პირისა. ასობით ამერიკელი ჯარისკაცი შეიჭრა ბენსუკში, დაბატმა სამხრეთვიეტნამელ პარტიზანთა ყველა „თანამგრძნობი“, ხოლო დარჩენი მოსახლეობა გაიყვანეს ამ დასახლებული პუნქტიდან, რომელიც ითვლება ამერიკის შეერთებული შტატების ...ალღესანი სარდლის სიაში, როგორც ...ანთავისუფლების ეროვნული ფრონტის „გველების რაიონი“. ამის შემდეგ ასობით ბულდოზერმა დაანგრია ბენსუკის საცხოვრებელი სახლები. ასე შეწყვიტა ...ენსუკმა არსებობა.

ინგლისის ძაღლები ვიეტნამში

ნიუ-იორკი, 12 იანვარი. (საკდესი). ინგლისი ემზადება სამხრეთ ვიეტნამში გაგზავნოს 36 გაწვერთნილი ძაღლი, რომლებიც ამერიკელ ჯარისკაცებს დაეხმარებიან პატრიოტთა ძებნაში.

იუწყება რა ამას, იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგაზეთო კორესპონდენტს მოჰყავს ინგლისის თავდაცვის სამინისტროს განცხადება, რომ ამერიკის სამხედრო მოსამსახურეები უკვე რამდენიმე თვეა სწავლობენ ძაღლების გამოყენებას ინგლისის კოტა-ტინგის (სამხრეთი მალაია) ჯუნგლებში საომარი მოქმედების წარმოების სკოლაში.

ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა ინგლისი უშუალოდ უწყობს ხელს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას ვიეტნამში. ინგლისი ამერიკელებს ეხმარებოდა მედიკამენტებით, ვიეტნამში გზავნიდა სამედიცინო პერსონალს და პარტიზანული ომის „სპეციალისტებს“.

ინტერვენტთა არმია იზრდება

პარიზი, 12 იანვარი. (საკდესი). ამერიკის ჯარების საერთო რიცხვი სამხრეთ ვიეტნამში, როგორც საიგონში გამოაცხადეს, 7 იანვრისათვის შეადგენს 395 ათასს. ამას იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.

ცნობაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტი ქვეყნების — სამხრეთ კორეის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და ფილიპინების ჯარების კონტინგენტი 53 ათასს აღწევს.

ბელგრადი, 12 იანვარი. (საკდესი). იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა მოიწონა ინფორმაცია იუგოსლავიაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისთვის მზადებისა და ... ...

ეს შესანიშნავი ღონისძიებაა

საჩხერელები—თბილისის სტუმრები

მატარებელი გორს გამოსცდა თუ არა, ვაგონებში ფუსფუსმა იმატა. თვალწინ გადაიშალა ქართლის ველ-მინდვრები, ზვრები, სოფლები. ზამთარია, მაგრამ მზიანი დღე. გაზაფხულისას უფრო ჰგავს. ისვენებს კოლმეურნე, ისვენებს მიწაც. მაგრამ აქა-იქ მაინც დაინახავთ სოფლის შრომელებს — ადრიანად გამოსულან მინდვრად, დროზე იქნერენ თავდარიგს. მგზავრები ფანჯრებს არ სცილდებიან.

თითქმის ყველა, ვინც ტურისტულ მატარებელ „რუსთაველს“ მოპყვება, რამდენჯერმე არის ნამყოფი თბილისში, მაგრამ ასე ორგანიზებულად, როდესაც ყოველი ვაგონი, საჩხერელებს აქვთ დაკავებული, პირველად მგზავრობენ. გადის კიდევ ცოტა ხანი, და ცისფერი ეკსპრესი თბილისის ვაგზალს უახლოვდება. ,ბაქანი მასპინძლებით არის სავსე. აქ არიან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები **ზ. რატიანი** და **ჯ. ლომაშვილი**, თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **ი. შევარდნაძე**, რესპუბლიკის სოცუზრუნველყოფის მინისტრი **მ. თოფურიძე** და სხვა პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული მუშაკები. თანამემამულეებს სიხარულით ეგებებიან ქართველი მეცნიერები **ს. დურმიშიძე, ბ. იაკობაშვილი, ვ. მეტრეველი, მ. ტყემალაძე, კ. კაკანაძე** და სხვები. აქვე არიან მწერლები **მარიჯანი, რ. ჯაფარიძე** და **ნ. შამანაძე.**

„რუსთაველი“ გაჩერდა. მატარებლის კიბეზე ჩამოდიან მოლხმარი ადამიანები — მერკვეის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა **ელენე ლაცაბიძე**; სავანელი მეგვანეზე **ნიკოლოზ აბრამიშვილი**, არგვეთელი **გიორგი ბერიძე**... მათ შრომაც ეცილა და დასვენებაც. დიდი ხნით დაამახსოვრდებათ მათ ცამეტი იანვრის მზიანი დღე, თბილისური სტუმართმოყვარეობა, ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები და მხატვრული სანახაობანი.

...საჩხერელი სტუმრები სიმღერითა და ცეკვით მიემართებიან ვაგზლის მოედნისაკენ. აქ მათ რამდენიმე ავტობუსი ელოდებათ გზა მეტეხის ციხისაკენ მიდის. ჩემს გვერდით სკამზე ზის სკკპ საჩხერის რაიკომის მეორე მდივანი **ზურაბ ივანიშვილი**. იგი სიამაყითა და სიყვარულით ყვება თავის მშობლიურ რაიონზე...

საჩხერის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გასული წლის სახელმწიფო გეგმები ჯერ კიდევ ნოემბერში შეასრულეს. მეცხოველეობა, მევენახეობა, მარცვლეული კულტურები — ეს დარგები საჩხერისათვის დამახასიათებელი. რაიონის მშრომელებმა მთელი წლის დაუღალავი შრომით მოიპოვეს კულტურულად დასვენების უფლება. სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს ხორცი, უურძენი, მარცვალი.

ბევრი კარგი და სასარგებლო რამ კეთდება ამჟამად რაიონში. წელს საეკსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი საკონსერვო ქარხანა, რომელიც შეკმნილია ხილის წვენების მცირე სიმძლავრის საამქროთა ბაზაზე. სოფელ სავანეში მალე ჩადგება მწყობრში მეფრინველეობის ფერმა. ოკა ყოველწლიურად წარმოებს 50 ტონა ფრინველის ხორცს და ხუთ მილიონ კვერცხს. რაიონის ცენტრში აიგო 250-ადგილიანი საავადმყოფო. ახალგაზრდობამ თავისი ხელით გააშენა ლამაზი ბაღი, რომელსაც „კომკავშირის ხეივანი“ უწოდა. ახლახან დამთავრდა წყალსადენის პირველი რიგის მშენებლობა, მეორე რიგი წელს ჩადგება მოსახლეობის სამსახურში. საჩხერელი მშრომელები მალე კარგ საჩუქარს მიიღებენ — ჩქარი ტემპით მიმდინარეობს 600-ადგილიანი კულტურის სახლის მშენებლობა, არგვეთის სასოფლო საბჭო კი 300-ადგილიან კლუბის აგებას ამთავრებს, მარტო ერთი წლის განმავლობაში სასკოლო ქსელს შეემატება 68 საკლასო ოთახი.

რაიონის წამყვანი ძალა ახალგაზრდობაა. უფროსებს მხარში ამოუდგნენ შომახეთის, საირხის, მერკვეის, საგანის, ბაჯითის, სპეთისა და სხვა სოფლების სკოლების კურსდამთავრებულები. მათი რიცხვი 350-ს აჭარბებს. ამ ჭაბუკებისა და ქალაშვილების უმრავლესობა „რუსთაველის“ მგზავრებია. ბევრი კარგის მოყოლა შეიძლებოდა მათზე, მაგრამ ყველაფერს ასე მოკლე დროში ვერ იტყვი.

...ერთმანეთს მიჰყვებიან სტუმრებით სავსე ავტობუსები. საჩხერელები ინტერესით ათვალიერებენ ჩვენს დედაქალაქს, იმახსოვრებენ ეკსკურსიამძღოლის ნაამბობს, რომ შემდეგ, შინ დაბრუნებისას, მოუთხროთინ თავისიანებს, თუ როგორ გაზრდილა და დამშვენებულა ჩვენი დედაქალაქი თბილისი.

საღამოვდება. საჩხერელები კმაყოფილნი არიან ექსკურსიით. მცირე დასვენების შემდეგ სტუმრები გაემართნენ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრისაკენ. ამჯერად თბილისელმა მსახიობებმა „რუსთაველის“ მგზავრებს წარმოუდგინეს ა. ცაგარელის პიესა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.

...უკანასკნელი წუთები თბილისში. ვაგზლის ბაქანი კვლავ სავსეა გამცილებლებით. უსურვებენ შინ მშვიდობით დაბრუნებას, წინსვლას შრომასა და ცხოვრებაში. ტურისტული მატარებელი „რუსთაველი“ საჩხერისაკენ გზას გაუდგა.

გ. ხარაიძე.

• • •

სურათებზე: ზემოთ — საჩხერის რაიონის მშრომელები თბილისის რკინიგზის სადგურზე. ქვემოთ — საჩხერელებმა დათვალიერეს თბილისის მეტროპოლიტენი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ბედნიერი მოგებანი

ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონში 1966 წელს დოსაააფის ავტომოტოლატარიის 31.600 ბილეთი გავრცელდა. აქედან მოგება ხვდა 19 ბილეთს. მათ შორის არის 2 ავტომობილი „მოსკვიჩ-408“, ერთი ავტომობილი „ზაპოროჟეცი“, 12 მოტოციკლი და 4 მოტოველოსიპედი.

ვ. კაკაურიძე.

საჩხერის რაიონის შემნახველ სალაროში სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს „ძველოლმა“ ს. ქემერტელიძემ და საჩხერის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს რადიოსა და ტელევიზორების შემკეთებელმა ჯ. სულთანიშვილმა წარადგინეს ავტომობილტატარის ბილეთები, რომლებსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „მოსკვიჩი“. საჩხერის რაიკოოპერატივის საწყობის მტვირთავმა ნ. ყიფიანმა მოიგო მოტოროლერი „ტულა“.

ა. ანასაშვილი.

ქ. ზუგდიდში მცხოვრებმა ჯ. გოგოლაკვამ ამ დღეებში წალენჯიხის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა ავტომოტოლატარიის 21-ე თარგის № 622666 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „ვოლგა“.

ბ. ალშიბაია.

ორჯონიკიძის რაიონის მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის საფეხურიანი სასტატოს მუშამ ე. შარიქაძემ დოსაააფის ავტომოტოლატარიის ბილეთით, რომლის ნომერია 712081, მოიგო ავტომანქანა „ვოლგა“.

თ. ტაბატაძე.

შინმოუსვლელთა პარკი

ქალაქ ცხაკაიაში, რკინიგზის სადგურის ახლოს, სადაც წინათ საბარგო მატარებლის სადგომი და დასაცლელი მოედანი იყო, ამას წინათ გაშენდა ახალი დასახვენებელი პარკი. აქ დაირგო ათასობით ძირი მარადმწვანე დეკორაციული მცენარე და ყვავილი, მოეწყო წყლის აუზი. პარკის შიდაგზები თეთრი კენჭებით მოიკირწყლა.

მშვენიერი სანახავია ეს მიდამო, რომელიც შინმოუსვლელთა პარკს სახელს ატარებს.

ს. კუპაკა.

საინტერესო ამბების სამყაროში

სიყვარულის სტატისტიკა

ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი ქვეყნის ყველაზე ბედნიერი მხარე კამჩატკაა! მაგრამ ამას ადასტურებს სტატისტიკაც. მხოლოდ მას შეუძლია მიუკერძოებელი იყოს სიყვარულშიც კი...

ამრიგად, სტატისტიკა ამბობს: ყველაზე მეტი ახალდაქორწინებული კამჩატკაზეა — ყოველ წელს 12-13 წყვილი მოდის ყოველ ათას სულ მოსახლეზე.

10-11 ქორწინება (1.000 მცხოვრებზე) აღირიცხება ყოველწლიურად ქალაქებსა და შურმანსკის ოლქებში, ზღვისპირეთში, ცოტათი ნაკლები — ხაბაროვსკის მხარეში, კალინინგრადის, სარატოვისა და ნიკოლაევის ოლქებში, მოსკოვსა და ლენინგრადში.

სტატისტიკამ ყველაფერი იცის. მაგალითად, იგი გვაცნობს საქმროებისა და საცოლეების ყველაზე გავრცელებულ ასაკს. ვაჟები ახლა უფრო ხშირად ცოლს თხოულობენ 25-29 წლისა, ქალები კი თხოვდებიან 20-24 წლისა.

ყოველწლიურად ჩვენს ქვეყანაში 4-4,5 მილიონი ბავშვი იბადება. და რაც ყველაზე მეტია, ბიჭებზე ოთხ-ხუთ ბავშვზე ერთ ბავშვზე ერთ ბავშვზე ერ